მარიამ გელხაური*

ახალგაზრდული თემატიკა საქართველოს პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამებში (2020 წლის საპარლამენტო არჩევნები)

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია 2020 წლის საქართველოს საპარლამენტო არჩევნების მონაწილე 9 პოლიტიკური სუბიექტის (რომელთაც გადალახეს 1%-იანი ბარიერი) საარჩევნო პროგრამებში წარმოდგენილი ახალგაზრდული თემატიკა. პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა საარჩევნო პროგრამებში ახალგაზრდებს, ძირითადად, სთავაზობს განათლებისა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული გამოწვევების დაძლევის გზებს, პარტიების ნაწილი ახალგაზრდობის დასაინტერესებლად ეხება ისეთ საკითხებს, როგორებიცაა სპორტი, თავდაცვა, გართობა და სხვ.

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია კონტენტ ანალიზის შედეგები, რომლის მიხედვითაც დასტურდება, რომ 2020 წელს, საქართველოში საპარლამენტო არჩევნების პერიოდში პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამები ნაკლებად ან საერთოდ არ ასახავს ახალგაზრდულ თემატიკას, მათი ინტერესებს, გამოწვევებსა და სამომავლო ხედვებს. თუკი პარტიები უკეთ მოახდენენ ახალგაზრდობის გამოწვევების იდენტიფიცირებას და მეტ ყურადღებას დაუთმობენ სამომავლოდ, მათ პარტიების პროგრამებს უფრო მრავალფეროვანსა და სრულყოფილს გახდის ახლგაზრდულ თემატიკასთან მიმართებაში.

საკვანძო სიტყვები: *ახალგაზრდული თემატიკა, საარჩევნო პროგრამები, პოლიტიკური პარტიები, საქართველო, საპარლამენტო არჩევნები*

---

* ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ-მკვლევარი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების დოქტორანტი

შესავალი

ბოლო წლებში, საქართველოში მომხდარი მნიშვნელოვანი პოლიტიკური პროცესები ახალგაზრდების ჩართულობით გამოირჩეოდა. საქართველოში 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში 60 პოლიტიკური სუბიექტი მონაწილეობდა (cesko.ge, 2020). განსხვავებული იყო მათი საარჩევნო პროგრამები. პარტიები თავიანთ პროგრამებში ცდილობდნენ ასახონ საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტის ინტერესების შესაბამისი თემატიკა. ნაშრომში გაანალიზებულია ახალგაზრდული თემატიკა პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამებში. აღმოჩნდა, რომ პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამებში ახალგაზრდულ პრობლემატიკას დიდი ყურადღება არ ეთმობა.

პირველ რიგში, მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ, თუ ვის მოვიაზრებთ „ახალგაზრდობაში". ახალგაზრდობის დეფინიცია ასაკის მიხედვით, სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია.

ცხრილი №1 - ახალგაზრდობის ასაკის დეფინიცია ევროპაში:[1]



ახალგაზრდობის კვლევები გვთავაზობს სულ მცირე სამ კონცეპტუალურ მიდგომას: ა)როგორც თაობა, ბ)როგორც ცხოვრების ეტაპი და

[1] *"DEFINING YOUTH IN CONTEMPORARY NATIONAL LEGAL AND POLICY FRAMEWORKS ACROSS EUROPE",* Prepared by Bojana Perovic EKCYP Correspondent, p. 8.

გ)როგორც სოციალური ჯგუფი. მაკმილანის ლექსიკონში ახალგაზრდობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გაგებაა წარმოდგენილი: „ახალგაზრდობა არის ცხოვრების ეტაპი, როდესაც ის ახალგაზრდაა და ხშირად ნიშნავს ბავშვობასა და ზრდასრულობას შორის პერიოდს“ (macmillandictionary.com, 2021). ამავე დროს, ”განსაზღვრებები კონკრეტული ასაკობრივი დიაპაზონის შესახებ განსხვავებულია, რადგან ახალგაზრდობა ქრონოლოგიურად არ არის განსაზღვრული, როგორც ეტაპი, რომელიც შეიძლება მიბმული იყოს სპეციფიკურ ასაკობრივ დიაპაზონებთან; არც მისი დასრულება შეიძლება იყოს დაკავშირებული კონკრეტულ საქმიანობასთან” (Furlong, 2013, pp. 2-3). ჩვეულებრივ იყენებენ ასაკობრივ კლასიფიკაციას, გაეროს ან ევროკავშირის სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად. გაერო განსაზღვრავს "ახალგაზრდობას", როგორც 15-24 წლის ასაკის ჯგუფს (UN, 2021). ხოლო ევროკავშირი 15-29 წლის ასაკისას (EN, 2011). როდესაც ახალგაზრდებს გარკვეული სოციალური როლებისა და სტატუსების მატარებლად მივიჩნევთ, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ ამ თვალსაზრისით, დამოკიდებულნი არიან სოციალურ ჯგუფებსა და ინსტიტუტებზე, სადაც ისინი ასრულებენ თავიანთ როლებს. მე-20 საუკუნის განმავლობაში ახალგაზრდების ცხოვრება მნიშვნელოვნად განპირობებული იყო კლასობრივი, რასობრივი და გენდერული პროცესებით, რაც ზღუდავდა ახალგაზრდების თავისუფალ არჩევანს. თანამედროვე საზოგადოებაში, რომელსაც ახასიათებს ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება და ფართო გამოყენება, ახალგაზრდებს აქვთ ისეთი ინფორმაციული შესაძლებლობები, რომლებიც მათ დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას აძლევს.

თანამედროვე ახალგაზრდა პასუხისმგებელია საკუთარ ცხოვრებაზე, განათლებაზე, სამუშაოზე და პოლიტიკურ მონაწილეობაზე. ისინი, უმეტესწილად, აღარ არიან დამოკიდებულნი იმ სოციალური ჯგუფების შეხედულებებზე, რომელშიც ცხოვრობენ. 21-ე საუკუნეში მკვეთრად შეიცვალა ახალგაზრდის როლი სოციუმში. დღესდღეობით, ახალგაზრდებს შეუძლიათ ზრდასრულთა სტატუსის მიღწევა ცხოვრების ადრეულ ეტაპზე. მაგალითად დაქორწინება, მუშაობა, ხმის მიცემა. საქართველოში 18 წლის ადამიანი ითვლება სრულწლოვნად და შეუძლია იყოს საკუთარ თავზე პასუხისმგებელი.

2014 წელს, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNISEF) მიერ ჩატარებულ კვლევაში „ახალგაზრდების ეროვნული კვლევა საქართველოში“, გაანალ-

ალიზებულია ახალგაზრდობის მდგომარეობა და საჭიროებები, აგ-
რეთვე, ანგარიშში ასახულია თუ რატომ არ არიან ისინი აქტიურად
ჩართული საზოგადოებრივ საქმიანობებში, „ახალგაზრდობაში შეინიშ-
ნება პოლიტიკური ინდეფერენტულობა“ (UNICEF, 2014) აღნიშნული
კვლევია, ჩვენი ნაშრომის ფარგლებში პროდუქტიულია იმ კუთხით,
რომ მრავალფეროვან მონაცემებზე დაყრდნობით გვაწვდის ინფორმაცი-
ას საქართველოს ახალგაზრდობის სხვადასხვა გამოწვევებზე. საინტე-
რესოა, შევადაროთ რამდენად ასახავს 2020 წლის საარჩევნო პროგრა-
მებში წარმოდგენილი ახალგაზრდული თემატიკა, ახალგაზრდობის
რეალურ გამოწვევებსა და მათ დაძლევის შესაბამის გზებს.

ქვეყანაში არსებული გამოწვევები მნიშვნელოვან გავლენას ახ-
დენს ახალგაზრდობის პოლიტიკურ განწყობებზე. აღსანიშნავია, რომ
2020 წელს ჩატარდა ფართომასშტაბიანი რაოდენობრივი კვლევა, რომე-
ლიც ასახავს ახალგაზრდა თაობის ძირითადად გამოწვევებს, საჭირო-
ებებსა და ინტერესებს, ასევე, ახალგაზრდობის სამოქალაქო ატიურობ-
ასა და პოლიტიკური პროცესებით დაინტერესებას. კვლევა ჩატარდა
საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში. „გამოკითხული 18-25 წლის ახ-
ალგაზრდების ნახევარი - 50%, ხოლო 26-29 წლის ახალგაზრდების 31%
არ არის დასაქმებული და ეძებს სამსახურს. ახალგაზრდების 16% უმ-
უშევრობის ძირითად მიზეზად პროფესიული უნარ-ჩვევების ნაკლე-
ბობას ასახელებს. შეკითხვაზე, თუ რა დაეხმარებოდათ დასაქმებაში,
სრულწლოვანმა რესპონდენტებმა ყველაზე ხშირად პროფესიული
ცოდნისა და უნარების გაუმჯობესება (48%) და სტაჟირების შესაძლებ-
ლობა (47%) დაასახელეს“ (ახალგაზრდობის სააგენტო, 2020). ახალ-
გაზრდობის წინაშე მდგარი პრობლემების ტრანსფარენტულობის მი-
უხედავად, საქართველოში პოლიტიკური პარტიები თავიანთ პროგრა-
მებში ნაკლებად ითვალისწინებენ ახალგაზრდების მთავარ გამოწვე-
ვებს. კვლევის თანამედროვეობა გვეხმარება უკეთ გავიაზროთ ქართვე-
ლი ახალგაზრდობის ინტერესები თუ გამოწვევები.

მეორე მხრივ, ახალგაზრდები ხშირად წარმოჩენილნი არიან რო-
გორც ნაკლებად დაინტერესებულნი, გულგრილი, აპათიური პოლიტი-
კური პროცესების მიმართ. ეს მიდგომა თანამედროვე ლიტერატურაში
მიიჩნევა თაობათაშორის კონფლიქტად. ამ მიდგომის თანახმად, ორი
თაობის აქტიური მონაწილეობა და ჩართულობა პოლიტიკურ პროცე-
სებში ერთდროულად თვითგამომრიცხავია, რადგანაც ხშირია ინტე-
რესთა კონფლიქტი თაობებს შორის. ახალგაზრდებს აქვთ საკუთარი

ინტერესები და საჭიროებები, რომლებსაც უფროსები ყოველთვის არ იზიარებენ (Karbach & Pleyers, 2014).

2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში, 18-29 წლის ასაკის ადამიანების რაოდენობა საერთო სიების მიხედვით შეადგენდა 662 341-ს, ანუ არჩევნებში მონაწილე ელექტორატის 18,78%-ს (cesko.ge, 2020). გამომდინარე ახალგაზრდა ელექტორალური სეგმენტის დიდი წილისა, მათი გამოწვევები პოლიტიკური პარტიებისათვის, წესით, ერთ-ერთი მთავარი თემა უნდა იყოს. ახალგაზრდობის აქტიურობა არჩევნების პროცესში მნიშვნელოვნად ცვლის საარჩევნო შედეგს. თუმცა, საქართველოს უახლოესი ისტორია გვიჩვენებს, რომ პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამები არ იყო სრულყოფილი ბევრ თემასთან მიმართებაში. ბოლო წლებში ახალგაზრობის კვლევები ადასტურებს ფაქტს, რომ „პოლიტიკოსებო, ახალგაზრდებს თქვენი არ ესმით“ (ნაჭყებია, 2020). მოცემული ნაშრომის ფარგლებში, ჩვენი მიზანია, შევისწავლოთ 2020 წლის ერთ პროცენტიან ბარიერ გადალახული პოლიტიკური სუბიექტების საარჩევნო პროგრამები ახალგაზრდულ საკითხებთან და გამოწვევებთან მიმართებაში. საინტერესოა, ამ პერიოდში რამდენად შეძლეს პარტიებმა საარჩევნო პროგრამებში თავიანთი სათქმელის თანმიმდევრული მიტანა ახალგაზრდებთან. წარმოდგენილი ნაშრომის თემატიკა ინოვაციურია, გამომდინარე აღნიშნულ თემაზე არსებული ნაშრომების სიმწირისა.

აღსანიშნავია, რომ საარჩევნო სისტემის ცვლილებასთან დაკავშირებულ ბრძოლაში საკმაოდ დიდი წვლილი შეიტანეს ახალგაზრდულმა მოძრაობებმა, რომელთა მრავალდღიანი პროტესტის შედეგადაც მიღწეული იქნა გადაწყვეტილება, რომელიც საარჩევნო სისტემას მაქსიმალურად აახლოვებდა პროპორციულ მოდელთან. მიუხედავად ახალგაზრდების დიდი წვლილისა საარჩევნო სისტემის ფუნდამენტურ რეფორმაში, ჩემი აზრით, ***პოლიტიკური პარტიები 2020 წელს თავიანთ საარჩევნო პროგრამებში ნაკლებად იყვნენ ორიენტირებულნი ახალგაზრდულ თემატიკაზე.*** პარტიები უფრო მეტად ცდილობენ მესიჯ-ბოქსების სახით პუნქტობრივად ჩამოაყალიბონ თავიანთი ხედვები.

ახალგაზრდული თემატიკა პოლიტიკური პარტიების საარჩევ-ნო პროგრამებში

ცხრილი №2:

	განათ ლება	**დასაქმ ება**	**სპორტ ი**	**გართო ბა**	**თავდ აცვა**
„ქართული ოცნება“	+	+	-	-	-
„ერთიანი ნაც. მოძრაობა“	+	+	-	+	-
„ევროპული საქართველო“	+	-	-	-	-
„პატრიოტთა ალიანსი“	+	+	+	-	-
„სტრატეგია აღმაშენებელი“	+	+	?	?	?
„ლელო“	+	+	+	-	+
„გირჩი“	+	-	-	-	-
„მოქალაქეები“	+	+	-	-	+
„ლეიბორისტები“	+	+	+	+	+

ცხრილ №2-ში *წარმოდგენილია 2020 წელს 9 პოლიტიკური სუ-ბიექტის საარჩევნო პროგრამაში ასახული ახლგაზრდული თემატიკის განაწილება. კონტენტ ანალიზმა გვიჩვენა, რომ 9-დან 8 პოლიტიკური სუბიექტის საარჩევნო პროგრამაში საუბარია განათლებასა და მასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, 6 პარტიის პროგრამა ორიენტირებუ-ლია ახალგაზრდობის დასაქმებასა და ეკონომიკურ მდგომარეობაზე. წინასაარჩევნო პროგრამებში პარტიათა მცირე რაოდენობას (2-3) წარ-მოდგენილი აქვს ახალგაზრდობის სხვა დამატებითი თემები, როგო-რიცაა, მაგალითად, სპორტი, თავდაცვა და გართობა.*

შენიშვნა: *პარტია „სტრატეგია აღმაშენებელის“ ოფიციალური ვებგვერდი დაბლოკილია, ამიტომ 2020 წლის წინასაარჩევნო პროგრამა ამ დროისთვის მიუწვდომელია. მიუხედავად, პარტიის ლიდერებთან*

კომუნიკაციისა, ვერ მოხერხდა პარტიის წინასაარჩევნო პროგრამის მოძიება. გამომდინარე აქედან, სპორტის, გართობის, თავდაცვისა და სხვა თემატიკასთან მიმართებაში დასაზუსტებელია, თუ რას სთავაზობდა პარტია ახალგაზრდებს.

პარტიების პროგრამებში ახალგაზრდული თემატიკის წილი

ცხრილი №3:

	სიტყვების რაოდენობა (სულ)	ახალგაზრ-დული თემატიკა	ახალგაზრ-დული თემატიკა
„ქართული ოცნება“	4614	154	3,3 %
„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	7185	431	6 %
„ევროპული საქართველო“	4462	184	4,1 %
„პატრიოტთა ალიანსი“	≈ 1000	≈ 120	12%
„სტრატეგია აღმაშენებელი“	≈6000 [2]	?	≈12%
„ლელო“	1946	222	11,4 %
„გირჩი“[3]	-	-	-
„მოქალაქეები“	≈ 3100	359	11,6 %
„ლეიბორისტები“	4535	239	5,2 %

***ცხრილი №3**-ის კონტენტ ანალიზის შედეგად დავადგინეთ 2020 წელს 9 პოლიტიკური სუბიექტის წინასაარჩევნო პროგრამის საერთო რაოდნობიდან თუ რა ადგილს იკავებს ახალგაზრდული თემატიკა. „სტრატეგია აღმაშენებელი“, „ლელო საქართველოსთვის“, „მოქალაქეები“ - აღნიშნული პარტიების პროგრამები სხვა პარტიებთან შედარე-*

[2] „სტრატეგია აღმაშენებლის“ მონაცემები დაახლოებითაა დათვლი, პარტიის ვებგვერდის დაბლოკვიდან გამომდინარე საარჩევნო პროგრამის მოპოვება ვეღარ მოხერხდა

[3] მონაცემების დათვლა ვერ მოხერხდა, რადგან „გირჩმა“ წინასაარჩევნო პროგრამა 2020 წელს, ვიდეო რგოლების სახით წარმოადგინა

ბით პროცენტულად უფრო დიდი მოცულობით მოიცავს ახალგაზრდულ თემატიკას.

განათლება

ცხრა პოლიტიკური სუბიექტის 2020 წლის საარჩევნო პროგრამებში ახალგაზრდებისადმი მიმართული ხედვა, ძირითადად, დაკავშირებულია განათლებასთან, რაც ბუნებრივია, რადგან ახალგაზრდობისთვის განათლება მთავარი პრიორიტეტია. პარტიების პროგრამებში განათლებაზე საუბრისას ასახულია განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემა. სახელისუფლებო პარტია „ქართული ოცნება“ საარჩევნო პროგრამაში ახალგაზრდებს პირდება განათლების საბიუჯეტო დაფინანსების გაზრდას, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო დონეზე პოპულარიზაციას, ერაზმუსის პროგრამის ხელშეწყობასა და სამეცნიერო საგრანტო კონკურსების გაზრდას, თუმცა ეს ყველაფერი მხოლოდ პუნქტობრივადაა მოცემული და დეტალური დასაბუთება თან არ ახლავს. განათლებასა და მეცნიერებაზე საუბრისას „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პროგრამაში ასახულია, თუ რა გაკეთდა ახალგაზრდებთან (სტუდენტებთან) მიმართებაში, მაგალითად, 30 ათასამდე სტუდენტის დაფინანსება სრულიად ან ნაწილობრივ, უმაღლესი განათლების დაფინანსება ორჯერ გაიზარდა და 150 მილიონი ლარი შეადგინა; ნახსენებია ქუთაისის საერთაშორისო უნივერიტეტის დაფუძნება. სამეცნიერო კვლევების დაფინანსების გაზრდა, პროფესიული განათლების დაფინანსება (droa.ge, საარჩევნო სუბიექტის – “ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო” – საარჩევნო პროგრამა, 2020, გვ. 13). სახელისუფლებო პარტიის 2020 წლის საარჩევნო პროგრამა 13 გვერდიან დოკუმენტს წარმოადგენს, რომლის უმეტესი ნაწილი ეთმობა იმას, თუ რა გაკეთდა პარტიამ 2012 წლიდან დღემდე სხვადასხვა სფეროში.

ყველაზე მსხვილი ოპოზიციური პარტიას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ხელისუფლებაში ყოფნის 9 წლიანი გამოცდილება გაჩნია, რომელთა მმართველობის პერიოდშიც მრავალი ცვლილება განხორციელდა სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის ერთ-ერთი მთავარი განათლება იყო. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების საარჩევნო პროგრამაში „ენმ“ სტუდენტებს ჰპირდებოდა ხარისხიან განათლებას, საერთაშორისო კვლევებში ჩართულობას, თანამედროვე ლაბორატორიებითა და ტექნოლოგიებით სარგებლობას, უსაფრთხო გარემოსა და

ნიჭის რეალიზებას საკუთარ ქვეყანაში. პარტიის პროგრამაში ნახსენებია 100%-იანი გრანტის მიღების შესაძლებლობის გაზრდა სტუდენტებისთვის და გაორმაგებული დაფინანსება სახელმწიფო გრანტის სახით, რომელიც 4500 ლარს შედგენს. ასევე, საუბარია სწავლის დაფინანსებაზე უცხოეთის ტოპ-100 უნივერსიტეტში სხვადასხვა პროგრამებზე, საქართველოში ამერიკული და ევროპული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვაზე. პროფესიული განათლების გაუმჯობესებაზე. საინტერესოა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პროგრამაში ასახული ხედვა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ აბიტურიენტებთან მიმართებაში, რომლის თანახმადაც, თუკი ისინი ჩააბარებენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში, დაუფინანსდებათ სწავლის გადასახადი და საცხოვრებლის ხარჯები. პარტიის პროგრამაში საუბარია ახალგაზრდა პედაგოგების წახალისებასა და აღნიშნული პროფესიის ახალგაზრდა თაობაში პოპულარიზებაზე.

„ნაციონალური მოძრაობის“ წინასაარჩევნო პროგრამაში საუბარია განათლების ისეთ რეფორმაზე, რომლის მიხედვითაც, საქართველო გახდება რეგიონში დასავლური განათლების თანამედროვე და ტექნოლოგიურ საგანმანათლებლო ცენტრი, აგრეთვე, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვაზე. აქვე, ნახსენებია მათ მიერ განხორციელებულ ერთიანი ეროვნული გამოცდების განახლებული სისტემის შემოღება. ინვესტიცია განათლებაში, პარტიის შეფასებით, არის ინვესტიცია მომავალში. საუბარია განათლების სისტემის დეცენტრალიზაციაზე, მაგალითად სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების ავტონომიაზე. სოფლის მეურნეობასთან მიმართებაში ნაციონალური მოძრაობის პროგრამაში ნახსენებია სახელმწიფოს მხრიდან 50 მილიონი ლარის გამოყოფა, რომელიც განათლების თანამედროვე მიმართულებების დაფინანსებას მოხმარდება. პარტიის პროგრამის მიხედვით, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები აბიტურიენტები, რომლებიც ჩააბარებენ საქართველოს ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გადასახადთან ერთად დაუფინანსდებათ საცხოვრებლის ხარჯები (droa.ge, 2020, p. 19).

„ევროპული საქართველოს“ პროგრამულ დოკუმენტში მოცემულია სტატუს შეჩერებული სტუდენტების სტატისტიკა, რასაც პარტია დიდ გამოწვევად მიიჩნევს. ახალგაზრდების განათლების ხელშეწყობის კვალდაკვალ, „ევროპული საქართველო“ საგრანტო პროგრამებით დაფინანსებული სტუდენტების რაოდენობის გაზრდას მიიჩნევს საჭი-

როდ და აღნიშნავდნენ, რომ მომავალ წელს წარადგენენ კონკრეტულად, თუ როგორ განახორციელებენ განათლების ამ და სხვა რეფორმებს. უნდა ითქვას, რომ „ევროპული საქართველო“ ერთადერთი პარტიაა, რომლის პროგრამაშიც ცალკე პუნქტადაა ნახსენები „ახალგაზრდული საქმიანობა“, სადაც ასახულია მათ მიერ განხორციელებული ახალგაზრდული საქმიანობების ხელშეწყობა და მათ განვითარებასა და კეთილდღეობაზე ზრუნვა. პარტიის ხედვით, ახალგაზრდული საქმიანობის განვითარება ერთ-ერთი პრიორიტეტია, რაც პარტიის პროგრამის მიხედვით, „წარმოადგენს საგანმანათლებლო აქტივობებს ახალგაზრდებისთვის და მიზნად ისახავს მათ განვითარებას, კეთილდღეობასა და სხვადასხვა სფეროში აქტიური მონაწილეობის წახალისებას“[4] სამომავლოდ „ევროპული საქართველო“, ასევე, გეგმავდა უფრო მეტი ახალგაზრდის ჩართულობას პარტიის სხვადასხვა გადაწყვეტილებების მიღებაში.

პოლიტიკურ პარტია „პატრიოტთა ალიანის“ 2020 წლის წინასაარჩევნო პროგრამაში ნახსენებია ახალგაზრდობის მონაწილეობით ჩატარებული მასშტაბური საქველმოქმედო პროექტი პანდემიის საგანგებო პერიოდში, რომელშიც 500-ზე მეტი ახალგაზრდა მოხალისე მონაწილეობდა და თბილისის 15 ათასამდე ოჯახს დაეხმარნენ.[5] ახალგაზრდებთან მიმართებაში პარტიის პროგრამაში საუბარია განათლების ხარისხი გაუმჯობესებაზე, კერძოდ, სტუდენტების გაშვება ევროპისა და იაპონიის საზაფხულო სკოლებში, საუბარია, ასევე, სკოლამდელი და შემდგომი სასწავლო პროგრამების განახლებაზე. „პატრიოტთა ალიანსი“ პროგრამაში ახსენებდა სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების აღორძინებასა და აღდგენაზე. პროგრამის მიხედვით, განათლება კარგი ცხოვრების საწინდარია.[6]

2020 წელს ბლოკმა „სტრატეგია აღმაშენებლი“ სხვა პარტიებთან შედარებით, წარმოადგინა ფართო მასშტაბიანი პროგრამა, სადაც საუბარია ევროპული განათლების მოდელზე, რომლის მიხედვითაც, ყველა სოციალური სტატუსის მქონე ახალგაზრდას შეეძლება განათლების მიღება. „მოზარდი - საზოგადოების სრულფასოვანი წევრი, ტრადიცი-

---

[4] ამოღებულია პარტია „ევროპული საქართველოს“ 2020 წლის წინასაარჩევნო პროგრამიდან, გვ. 14

[5] droa.ge, საარჩევნო სუბიექტის – „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი” – საარჩევნო პროგრამა, 2020)

[6] patriots.ge, 2021.

ული ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი და ტოლერანტი მოქალაქე.“[7] საინტერესოა პარტიის ხედვა საკანონმდებლო ცვლილებაზე პროფესიული განათლების სტუდენტებისთვის სამხედრო ვალდებულების გაუქმებასთან დაკავშირებით, რომელიც უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებზე ვრცელდება და პროფესიულ განათლებაზე არა. ასევე მათი ჩართვა გაცვლით პროგრამებში. გარდა ამისა, უმაღლესი განათლების მიმართულებით, „სტრატეგია აღმაშენებელი“ გეგმავდა ტოპ-100 უნივერსიტეტთან თანამშრომლობას და მათ პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტებს სახელმწიფო გრანტზე +30%-იანი დანამატის გამოყოფას. გათვალისწინებული ჰქონდა ეროვნული გმოცდების სტრუქტურის ცვლილება, სამეცნიერო კვლევების წახალისება და სხვადასხვა ლაბორატორიების შექმნა უნივერსიტეტებში, სამეცნიერო ბაზებზე წვდომის გამარტივება; სამეცნიერო გრანტების კონკურენტუნარიანი და გამჭვირვალე პრინციპი. საუნივერსიტეტო კვლევითი ცენტრების გააქტიურებითა და მოწვეული სპეციალისტების მიერ სხვადასხვა სწავლების პროგრამების შემუშავებით, პარტია ასევე გეგმავდა პროფესიული სწავლების პოპულარიზებასა და კადრების გადამზადებას შემდგომი დასაქმების პერსპექტივით. პროგრამაში ასახულია, ასევე, აიტი მიმართულების სტუდენტების დაფინანსება და საქართველოს დიდ ქალაქებში აიტი სასწავლო ცენტრების გახსნის შესაძლებლობა.

პარტიების წინასაარჩევნო პროგრამებში, უმეტესწილად, აქცენტი გამახვილებულია ქართული განათლების განვითარებასა და ევროპულ მოდელზე გადასვლაზე. ახალ დაფუძნებულმა პარტია „ლელომ“ საკმაოდ ამბიციური პროგრამა წარმოადგინა, თუნდაც თავისი სახელწოდებიდან გამომდინარე - „მარშალის გეგმა“, ახალგაზრდულ თემატიკას სხვადასხვა მიმართულებით ეხებიან, მაგალითად, თუნდაც ევროპულ განათლებაზე დაფუძნებულ ხედვას, ასევე, რაჭაში საზაფხულო სკოლა-კამპუსების მშენებლობას, ევროპული და ამერიკული უმაღლესი სასწავლებლების ანალოგის მინი ფილიალების დაარსებას საქართველოში. ასევე, ევროკავშირის ეგიდით გეგმავენ შექმნან ახალგაზრდული ევროპული ცენტრი საქართველოში პროგრამაში ასევე საუბარია ეთნიკურად აფხაზი და ოსი აბიტურიენტების საერთაშორისო

[7]aghmashenebeli.win, 2020 - ამჟამად „სტრატეგია აღმაშენებელის“ საიტი გაუქმებულია

საგანმანათლებლო და გაცვლით პროგრამებში ჩართვაზე (lelo2020.ge, 2020).

2020 წელს აქტუალური იყო პანდემიისგან გამოწვეული პრობლემები განათლების სისტემაში, განსაკუთრებით, „გირჩისა“ და „მოქალაქეების“ საარჩევნო პროგრამებში. ახალგაზრდების სათანდო განათლებაზე საუბრისას „გირჩი“, თავისი მკვეთრად ლიბერტარიანული შეხედულებიდან გამომდინარე, საუბრობდა რეგულირებების და სახელმწიფო ჩარევის გაუქმებაზე განათლებაში და ამ სფეროს კერძო სექტორისთვის მინდობაზე. „განათლების უფლება არის ჩვენი თავისუფლების ნაწილი“[8] - პარტიის ლიდერი ზურა ჯაფარიძე ამით ხაზს უსვამდა საბჭოთა განათლების სისტემის დასრულების აუცილებლობას. კონკურენტუნარიანი გარემო და თავისუფალი აზროვნება „გირჩის“ პროგრამაში განათლებასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. განსხვავებით სხვა პარტიებისგან, „გირჩის“ პროგრამა საკმაოდ მიმზიდველია ბევრი ახალგაზრდისთვის. ძირითადად, პარტიის მხარდამჭერები ახალგაზრდობაა. პარტიის ლიდერი ზურა ჯაფარიძე 1 წუთიანი ვიდეოებით ცდილობდა აეხსნა სხადასხვა საკითხთან მიმართებაში პარტიის ხედვა, რაც უფრო მეტად მიმართული იყო ახალგაზრდა სეგმენტზე.

პარტია „მოქალაქეების“ ხედვა ახალგაზრდებთან მიმართებაში დაკავშირებული იყო ქვეყნის ინტერნეტიზაციის პრობლემასთან. ესტონეთის მოდელის წარმოჩენით, ალეკო ელისაშვილის პარტია ხაზს უსვამდა საგანმანათლებლო დაწესებულებების უმაღლესი ტექნოლოგიებით აღჭურვის აუცილებლობასა და უნივერსიტეტებში პროფესიული მიმართულებების გაძლიერებაზე. ახალგაზრდებთან მიმართებაში პარტიის ხედვა ორიენტირებული იყო უნივერსიტეტის დამთავრების შემდგომ სპეციალობით დასაქმების პრობლემაზე.

14 გვერდიან დოკუმენტში განათლებასა და ახალგაზრდების შესახებ, „ლეიბორისტები“ აღნიშნავდნენ, რომ ყველა სტუდენტს დაუფინანსდებოდა უმაღლესი განათლება სახელმწიფოსგან, ასევე, შეიქმნებოდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ახალი სასწავლო პროგრამები, სკოლამდელი განათლების სფეროში ახალი პროფე-

8 https://www.youtube.com/watch?v=KJawaTm3tcA&list=PLICdcL_o5jRLoCtPOCjvPkQztJgeFy1Mq&index=3

სიონალი კადრების გაჩენის მიზნით, გაუქმდებოდა საუნივერსიტეტო თვითმართველობები და ჩანაცვლდება თემატური კლუბების მიერ, რაც სტუდენტებს განვითარებისა და საკუთარი გარემოს მართვის მეტ საშუალებას მისცემდა. დამატებით, აღნიშნულია, რომ საგრძნობლად შემცირდება არაჯანსაღი პოლიტიკური გავლენები ახალგაზრდულ გაერთიანებებზე. პროფესიული განათლების დიპლომი, „ლეიბორისტების“ პროგრამის მიხედვით, გაუთანაბრდება აკრედიტირებული უმაღლესი სასწავლებლების დიპლომს. პროფესიული კოლეჯების სტუდენტები იგივე შეღავათებით ისარგებლებენ, რითაც უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები სარგებლობენ.[9]

დასაქმება, ეკონომიკური მდგომარეობა

ახალგაზრდების ეკონომიკური მდგომარეობა საქართველოში ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. ბოლო დროის სტატისტიკა ცხადჰყოფს, რომ ახალგაზრდებს ხშირად უჭირთ დასაქმდნენ, ეკონომიკურად დამოუკიდებელნი გახდნენ, რაც შემდგომ ბევრ პრობლემებს წარმოშობს. საინტერესოა, რამდენად გაიაზრეს აღნიშნული გამოწვევა პოლიტიკურმა პარტიებმა 2020 წლის თავიანთ საარჩევნო პროგრამებში. როგორც აღმოჩნდა, 6 პოლიტიკური სუბიექტის წინასაარჩევნო პროგრამაშია ნახსნები კონკრეტულად ახალგაზრდების დასაქმება და ეკონომიკური მდოგმარეობის გაუმჯობესება, თუმცა გაკვრით და დაუსაბუთებლად. მაგალითად, „ნაციონალური მოძრაობის“ პროგრამაში აღნიშნულია, რომ მათთვის პრიორიტეტია ახალგაზრდები, რომლებიც „პერსპექტივისა და საკუთარი ნიჭის რეალიზების გზების ძიებაში სხვა ქვეყნებში არ გარბიან და ოჯახის შექმნისა და შვილების ყოლის არ ეშინიათ“ (droa.ge, 2020, p. 2). უნდა აღინიშნოს, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ პროგრამაში ზოგადად დასაქმების საკითხი პრიორიტეტულია და გეგმავდნენ დიდი რაოდნეობით სამუშაო ადგილების შექმნას, თუმცა კონკრეტულად ახალგაზრდების დასაქმება და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება მცირე ადგილს იკავებს.

სახელისუფლებო პარტია „ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამაში ახალგაზრდების დასაქმების საკითხი ნაკლებად პრიორიტეტ-

[9] ამოღებულია „ლეიბორისტების“ 2020 წლის წინასაარჩევნო პროგრამიდან https://www.labour.ge/ka/chvens-shesakheb/programa/article/15156-saarchevno-program2020

ულია. პროგრამაში მხოლოდ ერთ წინადადებაშია ნახსენები წარსულში პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელის ზრდა (droa.ge, საარჩევნო სუბიექტის – "ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო" – საარჩევნო პროგრამა, 2020, გვ. 13).

აღსანიშნავია, რომ ბლოკის „სტრატეგია აღმაშენებელის" 2020 წლის საარჩევნო პროგრამა მოსახერხებად და გასაგებად იყო დანაწილებული თემატკის მიხედვით მათ ვებ-გვერდზე. რაც შეეხება ახალგაზრდების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, „სტრატეგია აღმაშენებელის" ხედვა პროგრამაში ტურიზმთან დაკავშირებით აქვთ, რაშიც მოიაზრებენ ახალგაზრდული ფესტივალების პოპულარიზაციას. გარდა ამისა, პარტიის 2020 წლის საარჩევნო პროგრამაში მოცემულია ხედვა მეცნიერებისა და ინოვაციების პრიორიტეტულობაზე, ახალგაზრდა ტალანტების ქვეყანაში დასაქმებასა და ინიციატივა - „საერთო დოვლათის შექმნა საზოგადოებრივი სიკეთისათვის."[10]

ოპოზიციური პარტია „ლელო საქართველოსთვის" წინასაარჩევნო პროგრამა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდში საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტს ეხმიანებოდა, მათ შორის ახალგაზრდობასაც. მაგალითად, „ვაქციოთ გლეხი ძლიერ ფერმერად" ინიციატივის ფარგლებში, პარტია გეგმავდა ყოველწლიურად გადაამზადოს 100-მდე ახალგაზრდა ფერმერი წამყვანი ქვეყნების აგრო სასწავლებლებში. პარტიის „ლელო საქართველოსთვის" მოდელი „ახალგაზრდობა" - მოიცავს „პირველ სამსახურს" გარანტირებული ანაზღაურებადი სტაჟირებით, 6 თვე. ასევე, „პირველი სახლი" - ახალგაზრდა ოჯახების ბინებით უზრუნველჰყოფა, 100 მლნ ლარის გამოიყოფა ყოველწლიურად (droa.ge, "მარშალის გეგმა", 2020, გვ. 12). „ლელოს" ხედვით, პრიორიტეტულია ახალგაზრდების გათავისუფლდება საშემოსავლო გადასახადებისგან. თუმცა, როგორც სხვა პარტიების პროგრამის შემთხვევაში, „ლელოს" საარჩევნო პროგრამაშიც ახალგაზრდების დასაქმება და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების დეტალური ახსნა არ არის მოცემული.

„პატრიოტთა ალიანსი" საარჩევნო პრგრამაში 2020 წელს გვთავაზობდა საკადრო რეფორმას, რის მიხედვითაც შესაბამის სტრუქტურებში დაინისშნებოდნენ პროფესიონალები და გამოიიცხებოდა არა-

[10] „სტრატეგია აღმაშენებელის" საიტი ამჟამად მიუწვდომელია

პროფესიონალთა დანიშვნა. მართალია, აღნიშნულ რეფორმას კონკრეტულად ახალგაზრდებთან მიმართებაში არ განიხილავდნენ, თუმცა, ვფიქრობთ, რომ აღნიშნული რეფორმა აალგაზრდობის დასაქმებისთვისაც მნიშვნელოვანი იქნებოდა. პარტიის პროგრამა ეხმიანებოდა ახალგაზრდა ოჯახების ბინებით უზრუნველოჰყოფაზე ან 20-30 წლიანი განვადება პროცენტის გარეშე. აღნიშნული ინიციატივა პარტიის ხედვით, ადამიანზე ზრუნვას ითვალისწინებდა. პარტიის ხედვა მიმართული იყო, ასევე, ოჯახური ბიზნესების ხელშეწყობაზე, თუმცა კონკრეტულად, ახალგაზრდა ოჯახები არ არის ნახსნები. ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით „პატრიოტთა ალიანსის“ წინასაარჩევნო პროგრამა ხელმოკლე ოჯახებზე ზრუნვასაც გულისხმობდა, რომელიც ითვალისწინებდა ადამიანზე ზრუნვას ჩვილი ბავშვობიდან მოხუცებულობამდე.

ახალგაზრდების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ხედვა „ლეიბორისტული“ პარტიის წინასაარჩევნო პროგრამაშია მოცემული. ყურადღება მახვილდება, კონკრეტულად, საბანკო სექტორსა და საპროცენტო განაკვეთზე: „სტუდენტების 85% საბანკო ვალებში იხრჩობა! უნდა დაწესდეს საპროცენტო განაკვეთის ზედა ზღვარი და ის არ უნდა აღემატებოდეს 5-6 პროცენტს.“ - ნათქვამია „ლეიბორისტული“ პარტიის საარჩევნო პროგრამაში, თუმცა როგორ აპირებენ ამ მასშტაბური ხედვის განხორციელებას, პარტიის პროგრამაში ასახული არაა (droa.ge, საარჩევნო სუბიექტის – „შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ – საარჩევნო პროგრამა, 2020, გვ. 11).

თავდაცვა

ორი ოპოზიციური პარტიის წინასაარჩევნო პროგრამაში მოცემულია ახალგაზრდული პოლიტიკის საკითხები თავდაცვის სფეროსთან დაკავშრებით. თავდაცვის ორგანიზაციაზე საუბრისას პარტია „მოქალაქეები“ ხაზს უსვამენ - მოხალისეთა „თავდაცვის ლიგის“ შექმნაზე. პარტიის ხედვით, მთელს ქვეყანაში ახალგაზრდული ლეგიონის საქმიანობა მკვეთრად გაიზრდება, მოქალაქეები, ახალგაზრდულ თემატიკასთან მიმართებაში, ასევე, ეხმიანებიან სოფლის მეურნეობასა და სავალდებულო ჯარს. კიდევ ერთი ოპოზიციური პარტია „ლელო“ გეგმავს - „18-27 წლამდე 6-თვიანი სავალდებულო სამსახურს თავდაცვის

ძალებში ან 6-თვიანი პროფესიული სტაჟირებას თავდაცვის უწყებებში“ (lelo2020.ge, 2020, p. 18).

სპორტი

როგორც ცხრილი №1-შია ასახული, 2020 წელს რამდენიმე პოლიტიკური სუბიექტის საარჩევნო პროგრამაში მოცემულია, ასევე, ხედვები ახალგაზრდების სპორტულ და კულტურულ განვითარებაზე. პარტია „ლელოს“ ახალგაზრდულ მოდელში შემოთავაზებულია ბარათი „25“ - რომელიც მოიცავს უფასო საზოგადოებრივ ტრანსპორტსა და 50%-იან ფასდაკლებებს სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებზე. პარტიის ხედვა სპორტის მიმართულებით მრავალფეროვანია, მაგალითად ხორვატიისა და ესპანეთის მოდელის წარმატებული სპორტის მოდელის დანერგვა, თუმცა რას მოიცავს აღნიშნული ხედვა, განმარტებული არ არის. საცხენოსნო სპორტის განვითარება, ალპინიზმის ცენტრის გახსნა სახელმწიფოს დაფინანსებით ცურვისა და სამთო სათხილამურო გაკვეთილები მოსწავლეებისთვის, სპორტული კონპლექსების ხელმისაწვდომობა, მასობრივი სპორტის განვითარება.[11]

სპორტის მიმართულებით ხედვა ასახულია „ლეიბორისტების“ წინასაარჩევნო პროგრამაშიც, ისევე როგორც „ლელოს“ პროგრამაში, მასობრივი სპორტის განვითარება „ლეიბორისტებისთვის“ ერთ-ერთი პრიორიტეტია, ამიტომ მათი გეგმა ითვალისწინებდა სპორტული ფედერაციებისთვის დაფინანსების შეწყვეტას და აღნიშნული თანხის მასობრივი სპორტის განვითარებაში გამოყენებას. პარტიის გეგმით, არცერთი სპორტული სექცია აღარ უნდა ყოფილიყო ფასიანი[12].

„პატრიოტთა ალიანსის“ წინასაარჩევნო პროგრამის ერთ აბზაცში ასახული იყო ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, რისთვისაც გეგმავდნენ საყოველთაო პროგრამის დანერგვას, რომელიც მომავალი თაობის კეთილდღეობაზე იქნებოდა გათვლილი[13] კონკრეტულად სპორტულ აქტივობებზე პროგრამაში არ არის საუბარი, თუმცა ჯანსაღი ცხოვრება, ბუნებრივია, სპორტულ აქტივობებსაც ითვალისწინებს.

---

[11] https://lelo2020.ge/ - “მარშალის გეგმა“ - გვ,17; გვ. 12

[12] „ლეიბორისტების“ საარჩევნო პროგრამა, გვ.4 10-შალვა-ნათელაშვილი-საქართველოს-ლეიბორისტული-პარტია.pdf

[13] patriots.ge, 2021

გართობა

ორი პარტიის წინასაარჩევნო პროგრამაში ნახსენებია ახალგაზრდობის გართობის თემატიკა. „ენმ“ პროგრამის მიხედვით, პრიორიტეტულია - „ახალგაზრდები, დღის ნებისმიერ მონაკვეთში, მეგობრებთან უსაფრთხო გარემოში ურთიერთობდნენ და უსახსრობის გამო თანატოლების დაპატიჟებას არ ერიდებოდეთ“[14]. „ლეიბორისტების“ ხედვით, პარასკევობით და შაბათობით, მეტროს უნდა ემუშავა 24 საათის განმავლობაში (ღამით უფასოდ), რადგანაც „ახალგაზრდას თვითრეალიზებისათვის, განათლებასთან ერთად, განტვირთვა და თავისუფლება სჭირდება.“[15] სხვა პარტიების პროგრამაში, ახალგაზრდობის გართობის თემატიკა არ არის ასახული.

დასკვნა

კვლევამ აჩვენა ჩვენს მიერ გამოთქმული ვარაუდი, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში 1%-იანი ბარიერ გადალახული პოლიტიკური სუბიექტების საარჩევნო პროგრამები ნაკლებად იყო ორიენტირებული ახალგაზრდულ თემატიკაზე. კვლევაში წარმოდგენილი კონტენტ ანალიზი მიზნად ისახავდა რაოდენობრივ მონაცემებზე დაყრდნობით დაგვეთვალა, თუ რა მოცულობის ადგილი უკავია ახალგაზრდულ გამოწვევებს პარტიების პროგრამებში. მიღებული შედეგების მიხედვით, პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა მცირე მოცულობით ახსენებდა ახალგაზრდულ გამოწვევებს სხვადასხვა მიმართულებით, აღნიშნული მონაცემები მერყეობს 0 დან 12 პროცენტამდე. გაანალიზებული 9 პოლიტიკური სუბიექტიდან, აღმოჩნდა, რომ ოპოზიციური პარტიების პროგრამებში ახალგაზრდული თემატიკა პროცენტულად უფრო მეტ ადგილს იკავებს, ვიდრე სახელისუფლებო პარტიის პროგრამაში.

ნაშრომში ასახული კვლევების მიმოხილვამ გვაჩვენა, რომ ბოლო წლებში, ქართველი ახალგაზრდობის საჭიროებები და გამოწვევები მრავალფეროვანია. დღესდღეობით, ძირითადად, ახალგაზრდობისთვის პრიორიტეტულია ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და დასაქმება. ამის საპირისპიროდ, კვლევის შედეგად გამოჩნდა, რომ სა-

---

[14] „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო პროგრამა, გვ. 2 https://droa.ge/?p=87840

[15] „ლეიბორისტების“ საარჩევნო პროგრამა, გვ. 11 10-შალვა-ნათელაშვილი-საქართველოს-ლეიბორისტული-პარტია.pdf

ქართველში 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდში, განხილული პოლიტიკური სუბიექტების წინასაარჩევნო პროგრამები ნაკლებად შეესაბამებოდა ახალგაზრდობის გამოწვევებსა თუ ინტერესებს. ძირითადი აქცენტი პარტიების პროგრამებში ახალგაზრდულ თემატიკასთან მიმართებაში გამახვილებულია განათლების სისტემის ხელმისაწვდომობასა და განვითარებაზე. გარდა განათლებისა, შედარებით მცირე მოცულობით პროგრამებში ნახსენებია, ასევე, ახალგაზრდობის დასაქმება, ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, თავდაცვა, სპორტი და გართობა.

2020 წელს პოლიტიკური პარტიების პროგრამების უმრავლესობა შედგენილი იყო იმგვარად, რომ მარტივად მიეწვდინა ხმა მოსახლეობისთვის, მესიჯების სახით, პუნქტობრივად ჩამოწერილი. გამონაკლისი არ გახლდათ ახალგაზრდა სეგმენტისადმი განკუთვნილი შეთავაზებებიც. პარტიების პროგრამები 2020 წლის წინასაარჩევნო პერიოდში ახალგაზრდებს სთავაზობდა განათლების სისტემისა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, სხვადასხვა პროექტებითა თუ ინიციატივებით. თითოეული წინადადება საკმაოდ მიმზიდველად გამოიყურება, თუმცა, ჩვენი დაკვირვებით, არც ერთი პარტია არ ხსნიდა დეტალურად თუ როგორ აპირებდნენ ამა თუ იმ ახალგაზრდული გამოწვევის დაძლევასა და რეალიზებას, პროგრამებში მხოლოდ მოცემულია რის გაკეთებას აპირებენ ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ. სამომავლოდ, ვფიქრობთ, აუცილებელია პარტიების პროგრამებში დეტალურად იქნას ახსნილი თითოეული ნაბიჯის განხორციელების გზები, მათ შორის ახალგაზრდული გამოწვევებისაც. შესაძლოა, მასშტაბურ პროგრამებს მოსახლეობის ძალიან მცირე ნაწილი კითხულობს და ამიტომ პარტიებს ურჩევნიათ მოკლედ, ლაკონურად და მესიჯების სახით მიაწოდონ ამომრჩეველს ინფორმაცია, მაგრამ, რეალურად, უნდა არსებობდეს ის ფართომასშტაბიანი დოკუმენტური მტკიცებულება, სადაც იქნება ახსნილი თითოეული პრობლემის დაძლევის გზები. სამწუხაროდ, დღესდრეობით, პოლიტიკური პარტიების უმრავლესობას არ გაჩნია პარტიული პროგრამების დეტალური ახსნა დოკუმენტურად და არ ცდილობენ ამ მდგომარეობის გამოსწორებას. უმჯობესი იქნება, საარჩევნო პროგრამების დეტალურად შედგენის პროცესში თავიანთი ახალგაზრდული ორგანიზაციების წევრები ჩაერთონ, დააფიქსირონ თავიანთ მოსაზრებები და ამ პროცესში განვითარდნენ პოლიტიკურად.

გამოყენებული ლიტერატურის სია

- aghmashenebeli.win. (2020). საარჩევნო პროგრამა. Retrieved 05 01, 2021, from https://aghmashenebeli.win/
- cesko.ge. (2020, 10 31). Retrieved from cesko.ge
- cesko.ge. (2020). 2020 წლის 31 ოქტომბრის პარლამენტის არჩევნები (პირველი ტური). საქართველო
- droa.ge. (2020). Retrieved from https://droa.ge/
- droa.ge. (2020). Retrieved 04 17, 2021, from https://unm.ge/ge/about-us/mtavari-gegma-mdidari-sakartvelo-zlieri-ojaxi
- droa.ge. (2020, 10 24). "მარშალის გეგმა". Retrieved 05 05, 2021, from https://droa.ge/
- droa.ge. (2020, 10 23). საარჩევნო სუბიექტის – *"ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო" – საარჩევნო პროგრამა.* თბილისი. Retrieved 04 27, 2021, from https://droa.ge/?p=87958
- droa.ge. (2020, 10 23). საარჩევნო სუბიექტის – *„ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია – ევროპული საქართველო – მოძრაობა თავისუფლებისთვის" საარჩევნო პროგრამა.* Retrieved 04 30, 2021, from https://droa.ge/?p=87780
- droa.ge. (2020, 23 10). საარჩევნო სუბიექტის – *„დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი" – საარჩევნო პროგრამა.* Retrieved 04 30, 2021, from https://droa.ge/?p=87866
- droa.ge. (2020, 10 23). საარჩევნო სუბიექტის – *„შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია" – საარჩევნო პროგრამა.* თბილისი. Retrieved 04 28, 2021, from https://droa.ge/wp-content/uploads/2020/10/10-
- EN. (2011, 03 25). ec.europa.eu. Retrieved from https://ec.europa.eu/assets/eac/youth/library/publications/indicator-dashboard_en.pdf
- Furlong. (2013). *Youth Studies: An Introduction*. Routledge, USA.
- Karbach, & Pleyers. (2014). *Analytical paper on Youth Participation – Young people political participation in Europe: What do we mean by participation.* Strasbourg: Council of Europe Publishing.
- lelo2020.ge. (2020). Retrieved from lelo2020.ge: https://lelo2020.ge/
- macmillandictionary.com. (2021, 10 10). macmillan dictionary. Retrieved from www.macmillandictionary.com: https://www.macmillandictionary.com/dictionary/british/youth
- matsne.gov.ge. (1997, 11 11). საქართველოს 1997 წლის 17ოქტომბრის ორგანული კანონი №965-პარლამენტის უწყებანი, №44,11.11.1997წ.,

გვ.70. თბილისი, საქართველო. Retrieved 04 30, 2021, from https://matsne.gov.ge/ka/document/view/1229706?publication=9

- matsne.gov.ge. (2020, 06 29). საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუციური კანონი. საქართველო. Retrieved from https://matsne.gov.ge/ka/document/view/4904761
- UN. (2021). *Policies and programmes involving youth Report of the Secretary-General, A/76/210.* Retrieved from https://undocs.org/A/76/210
- UNICEF. (2014). *„ახალგაზრდების ეროვნული კვლევა საქართველოში“,* თბილისი.
- ანგარიში, შ. (2020, 25 სექტემბერი - 10 ოქტომბერი, 2020 წელი). *ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი შეზღუდული სადამკვირვებლო მისია საქართველოში.* Retrieved 05 10, 2021
- ახალგაზრდობისსააგენტო. (2020). *ახალგაზრდობის კვლევა გაერთიანებული კვლევის შედეგები.* თბილისი, საქართველო.
- ნაჭყებია, ხ. (2020, 08 19). *„პოლიტიკოსებო, ახალგაზრდებს თქვენი არ ესმით!“.* თბილისი, საქართველო. Retrieved from https://civil.ge/ka/archives/362943

Mariam Gelkhauri

Youth Issues in The Election Programs of Georgian Political Parties (2020 Parliamentary Elections)

Abstract

The paper discusses the youth issues presented in the election programs of 9 political entities participating in the 2020 parliamentary elections in Georgia (which exceeded the 1% threshold). Most of the political parties in the election programs mainly offer young people ways to overcome the challenges related to education and improving the economic situation, part of the parties focus on issues such as sports, defense, entertainment and others.

The paper presents the results of content analysis which confirms that in 2020, during the parliamentary elections in Georgia, the election programs of political parties had little or no coverage of youth issues, their interests, challenges and visions for the future. If parties are better able to identify youth challenges and pay more attention to the future, they will make their party programs more diverse and comprehensive on youth topics.

Keywords: *Youth Themes/issues, Election Programs, Political Parties, Georgia, 2020, Parliamentary Election*